



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 129/ს
20/03/2023

129-21-4-202303201447



ქ. თბილისში, გლდანის რაიონში სს „თელასის“ 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის „მუხიანი 2“-ის რეკონსტრუქციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „თელასის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. თბილისში, გლდანის რაიონში 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის „მუხიანი 2“-ის რეკონსტრუქციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ეგხ „მუხიანი 2“ წარმოადგენს სს „თელასის“ საკუთრებას და ფუნქციონირებს 1981 წლიდან, რომელიც აკავშირებს ქვესადგურ „მუხიანს“ (110 კვ) ქვესადგურ „გლდანთან“ (220 კვ). დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია №7-№14 საყრდენებს შორის არსებული 2340 მეტრი სიგრძის დაზიანებული მონაკვეთის რეკონსტრუქცია. საპროექტო დერეფნის საწყისი და საბოლოო წერტილის GPS კოორდინატებია: X-488812.00, Y-4626900.00; X-488954.00, Y-4625584.00. უახლოესი საცხოვრებელი სახლი ეგხ „მუხიანი 2“-ის ახალი მონაკვეთიდან დაშორებულია დაახლოებით 430 მეტრით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ხევძმარას მცირე შენაკადი მიედინება უახლოესი საყრდენიდან (№18) დაახლოებით 35 მეტრში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, 2019 წელს განხორციელდა დაზიანებული უბნის (№9, №10, №11 და №12) ვიზუალური შესწავლა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნული საყრდენების მიმდებარედ ქ. თბილისის რკინიგზის შემოვლითი გზის მშენებლობისას გაიჭრა მთის მასივი და მასზე მოეწყო ხელოვნური ფერდობი. შედეგად, ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებით, მთამ მიიღო ბზარები, მოხდა მთის ფერდობის არსებული მდგომარეობის ზღვრული წონასწორობის დარღვევა, მთის ფერდობის დაძვრა და მეწყრული პროცესების განვითარება. მეწყრულმა პროცესებმა გამოიწვია საყრდენების საძირკვლების არათანაბარი ჯდენები, საყრდენი კვანძების დაზიანება და საყრდენების ლითონის კონსტრუქციების დეფორმაცია. აღნიშნულმა პროცესებმა განაპირობა 110 კვ ეგხ „მუხიანი 2“-ის ფუნქციონირების შეწყვეტა. შესაბამისად, საყრდენების საძირკვლებზე და ლითონის კონსტრუქციებზე მეწყრული პროცესებით მოსალოდნელი შემდგომი ზემოქმედების გამოსარიცხად, დაიგეგმა №9, №10, №11 და №12 საყრდენების გადატანა უსაფრთხო ადგილას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სარეკონსტრუქციო უბნის ნაწილი გაივლის საჰაერო ეგზ-ის ახლად შერჩეულ ტრასაზე, ხოლო ნაწილი დარჩება უცვლელად ეგზ-ის არსებულ დერეფანში. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ახალ დერეფანში, გათვალისწინებულია შვიდი ახალი საყრდენის (№9-15) განთავსება, ხოლო ოთხი ახალი საყრდენი (№8; №16-18) მოეწყობა ეგზ-ის არსებულ ტრასაზე, მათ შორის ორი განთავსებული იქნება არსებული საყრდენების ანალოგიურ ლოკაციაზე, შეცვლილი კუთხით. კერძოდ, სკრინინგის განცხადების თანახმად, №8 არსებული საყრდენის ნაცვლად გათვალისწინებულია იგივე ლოკაციაზე, იგივე ნუმერაციის საყრდენის განთავსება შეცვლილი კუთხით, რის შემდეგაც დაიწყება ახალი დერეფნის ათვისება და საყრდენები მოეწყობა შესაბამისი თანმიმდევრობით. საპროექტო საყრდენების განთავსების GPS კოორდინატებია: №8: X-488812.00, Y-4626900.00; №9: X-488739.00, Y-4626728.00; №10: X-488669.00, Y-4626563.00; №11: X-488597.00, Y-4626394.00; №12: X-488582.00, Y-4626108.00; №13: X-488569.00, Y-4625874.00; №14: X-488745.00, Y-4625676.00; №15: X-488832.00, Y-4625631.00; №16: X-488954.00, Y-4625584.00; №17: X-488996.00, Y-4625420.00; №18: X-489037.00, Y-4625255.00. აღნიშნული საყრდენების განთავსების შემდგომ, ეგზ დაუერთდება არსებულ №14 (შემდგომში №19) საყრდენს. სარეკონსტრუქციო ხაზი იქნება ერთჯაჭვიანი, საერთო სიგრძით 2340 მეტრი. პროექტის განხორციელების შედეგად, ქვესადგური „მუხიანი“ უზრუნველყოფილი იქნება სარეზერვო კვებით და ასევე აღდგება ხაზის ფუნქციონირება, რითაც მიიღწევა ქვესადგური „მუხიანის“ უწყვეტი და საიმედო ელექტრომომარაგება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ეგზ-ის სარეკონსტრუქციო მონაკვეთის გაყვანისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 2,5 თვეს. სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული იქნება თვითმცლელი, ბულდოზერი, ამწე და ექსკავატორი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზისთვის გამოყენებული იქნება AC 240/32 მარკის სადენები. სარეკონსტრუქციო უბნის საყრდენები იქნება ფოლადის Y110-1, ПС110-9B ქვესადგამებით და მათ გარეშე. სამუშაოების მოსამზადებელ ეტაპზე განხორციელდება სამუშაო ზონის დაკვალება და სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის მობილიზება, ასევე, დაზიანებული საყრდენების, სადემონტაჟო ღონისძიებები. აღნიშნულის შემდგომ, სარეკონსტრუქციო უბანზე დაიწყება მონტაჟის სამუშაოები, რაც მოიცავს ახალი საყრდენების მოწყობას და ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას (არსებული და საპროექტო საყრდენების დაერთებას). დოკუმენტის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე გათვალისწინებულია მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. თითოეული სამშენებლო უბნის ადგილსპეციფიური გარემოებების გათვალისწინებით, კონკრეტულ უბანზე შესაძლებელია მოიხსნას სხვადასხვა, მაქსიმუმ 20 სმ-მდე სიმძლავრის ნაყოფიერი ფენა, რომელიც დასაწყობდება შესაბამისი სამშენებლო უბნების გასწვრივ (სამუშაოების ჩატარების ადგილიდან 5-7 მეტრში) და ეგზ-ის საყრდენების მოწყობის შემდგომ, გამოყენებული იქნება დაზიანებული უბნების რეკულტივაციისთვის. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება განხორციელდება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის დაცვით.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგების შესაბამისად, სამშენებლო მოედანზე გამოყოფილია ორი ფენა: ფენა 1 - ნიადაგის ფენა და ფენა 2 - თიხნარი, ძნელპლასტიკური კონსისტენციის. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიხედვით, საკვლევ ტერიტორიაზე გაბურღულ ჭაბურღილებში, შესწავლილ სიღრმეებში მიწისქვეშა წყლები არ გამოვლენილა. სკრინინგის განცხადების თანახმად, საკვლევ ტერიტორია მდებარეობს, როგორც საშუალო, ასევე მაღალი გეოდინამიკური რისკის ზონაში. ამასთან, აღსანიშნავია,

რომ საკვლევი ტერიტორიის მახლობლად, სამხრეთით, ტექნოგენური მეწყრებისა და ხრამების განვითარების ფართო სპექტრი წარმოიქმნა თბილისის შემოვლითი ახალი სარკინიგზო ხაზის გაყვანის პროცესში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საშიში გეოდინამიკური პროცესების თავიდან ასაცილებლად, ახალი საყრდენების განთავსების სამშენებლო მოედნებზე უნდა ჩატარდეს დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევები. ამასთან, სამშენებლო დერეფნის და მიმდებარე ტერიტორიის მეწყრულ-გრავიტაციული პროცესების საშიშროების ზონაში მდებარეობის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რაც დამატებითი შესწავლის საგანია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ეგხ-ის გაყვანის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ტექნიკა. აღნიშნული სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში. ამასთან, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, გატარდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები: მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა; სამშენებლო ტექნიკის ძრავების უქმ რეჟიმში ექსპლუატაციის კონტროლი; ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის დაცვა (განსაკუთრებით გრუნტის გზებზე); სატვირთო მანქანებიდან ტვირთის ჩამოცლის და დასაწყობების პირობების კონტროლი. აღსანიშნავია, რომ ზემოქმედება იქნება დროებითი და შეწყდება აღნიშნული სამუშაოების დასრულებისთანავე. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილისა (430 მეტრი) და პროექტის ფარგლებში განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, სახიფათო, და ინერტული ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გაიტანება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას, ხოლო მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების ნაწილი გამოყენებული იქნება ეგხ-ის დერეფანში სხვადასხვა დაზიანებული უბნებისა თუ მისასვლელი გზების შევსებისთვის, ხოლო ნაწილი (მათ შორის ბეტონის საძირკვლების ნარჩენები) განთავსებული/გატანილი იქნება თბილისის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე. სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ჯართი გადაეცემა აღნიშნული სახის ნარჩენების აღდგენაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას ან/და ჩაბარებული იქნება ლიცენზირებულ ჯართის მიმღებ პუნქტებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ეგხ „მუხიანი 2“-ის ახალი მონაკვეთისათვის შერჩეული ტერიტორია წარმოდგენილია გორაკ-ბორცვიანი ტიპის რელიეფით, სადაც ძირითადად გავრცელებულია ბუჩქოვანი მცენარეული საფარი, ხოლო ბალახეული საფარი დეგრადირებულია აქტიური ძოვების გამო. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია 10 ძირი ბუჩქის (1 ძირი ფშატი, 3 ძირი შავჯაგა და 6 ძირი ძეძვი) მოჭრა, ხოლო ერთი ძირი კორპის თელას იმავე მიწის ნაკვეთზე გადარგვა. აღნიშნული მცენარეების გარემოდან ამოღებასთან დაკავშირებით ე. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულია შესაბამისი ნებართვა. სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია

ანთროპოგენური ზემოქმედებით ნაწილობრივ სახეცვლილია. საკვლევ ზონაში ფაუნის წარმომადგენლების, განსაკუთრებით კი საკონსერვაციო ღირებულების სახეობების, ბინადრობა ან/და მასშტაბური გავრცელება ნაკლებ სავარაუდოა. ამასთან, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საკვლევ არეალში ძირითადად შესაძლებელია შეგვხდეს ფაუნის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები, რომელთა ცხოველქმედების ნირი, ადგილსპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე, თავსებადია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოსთან. დოკუმენტის მიხედვით, ეგზ-ის მშენებლობის ეტაპი შესაძლოა დაკავშირებული იყოს მათ დაფრთხობასა და დროებით მიგრაციასთან. რაც შეეხება ფრინველებს, მათზე შესაძლო ზემოქმედება მოსალოდნელია ეგზ-ის ექსპლუატაციის ეტაპზე, როდესაც საჭაერო ელექტროგადამცემი ხაზი კილომეტრების მანძილზე არის გადაჭიმული და ქმნის ელექტროგადამცემ ხაზებთან შეჯახებით გამოწვეულ ფრინველთა დაღუპვის საფრთხეს/რისკს. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია არ იძლევა ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების დონის/ხარისხის განსაზღვრის შესაძლებლობას, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტის მიმდებარედ მსგავსი სახის სამუშაოები დაგეგმილი არ არის, შესაბამისად, ადგილი არ ექნება კუმულაციურ ზემოქმედებას.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ არსებული 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის „მუხიანი 2“-ის რეკონსტრუქციის სამუშაოების განხორციელება, საქმიანობის ადგილმდებარეობის (საშუალო და მაღალი გეოდინამიკური საფრთხის ზონა) გათვალისწინებით და ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების დონის/ხარისხის განსაზღვრისათვის, საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეგზავნა გლდანის რაიონის გამგეობას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. თბილისში, გლდანის რაიონში სს „თელასის“ 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის „მუხიანი 2“-ის რეკონსტრუქცია დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. სს „თელასი“ ვალდებულია, უზრუნველყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „თელასს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „თელასის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გლდანის რაიონის გამგეობის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო